საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 4 20 0001231875

25/12/2020

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე კონკურსში გამარჯვებული პირების აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 26-ე და 27-ე მუხლების, უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის შესახებ“ დებულების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 24 დეკემბრის ოქმი N31-ის მე-2 საოქმო დადაგენილების და ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრის (აკადემიური საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებლის, ასოცირებული პროფესორის, ნინო კახაშვილის სამსახურებრივი ბარათის (25/12/2020წ; N1230513) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, აკადემიურ თანამდებობებზე დანიშნულ იქნენ შემდეგი პირები:

1. **ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე:**

ბიოლოგიის მიმართულებით

- **მაგდა დავითაშვილი -** პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეულზე 6 (ექვსი) წლის ვადით (აფილირებული)
- **გელა აზიკური-** ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეულზე 6 (ექვსი) წლის ვადით (აფილირებული)

ეკოლოგია-მიკრობიოლოგიის მიმართულებით

- **ლამარა ზუროშვილი -**ასოცირებული პროფესორის 1 (ერთი) საშტატო ერთეულზე 6 (ექვსი) წლის ვადით (აფილირებული)

2.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) პირველ პუნქტში აღნიშნული პირებისათვის ბრძანების სათანადო წესით გაცნობა;
4. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს;
5.დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
6.დაევალოს უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს (ქ. ხმალაძე) შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება;
7.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერისიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
8.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
9.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი № 41).

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ირმა შიოშვილი